

# დილა

„აყვადი, ტურფა ქვეყანა,  
იღბინე, ქართველთ მხარეო,  
და შენც, ქართველო, სწავდი  
სამშობლო გაახარეო.“ — შ. მთელიძე



„აყვავილი, ტურფა ქვეყანა, იღბინე, ქართველთ მხარეო, ღა შენც, ქართველო, სწავლითა სამშობლო გაახარეო.“

## 9 მაისის საღამო

შხაპუნა წვიმამ გადილო  
მიდამოს პირი დაბანა,  
ხარობს და აყვავის მაისი  
ჩემი სამშობლოს მთა-ბარად:

გაჰხედე როგორ განათდა,  
ზეცაჲ ზეიმობს ამაღამ,  
გამოღმით დასჭექს ქვეშეხი,  
გალმით მთა გრგვინავს ამაყად.

მაღლა ღრუბლებში დაჰფრენენ  
სხივები ოქროს ისრებად.  
ფერად-ფერადი მუშხუნა  
შადრეფანივით იშლება.

თითქოს ვაჰსკვლევეს ფანტაჯენ  
გარს უჩინარი ხედები,  
ჩვენს თავზე გზები დახატეს.  
სინათლის ცისარტყევებით.

სჭექს და ჰქუხს ზეცა ფერადი,  
ნაპერწკლებს შემოირიგებს,  
გინდა ოცნებით თან გააჰყვე  
ცაზე გაუღებულ ბილიკებს.

მყავლა გრავლიშვილი

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის



454



ს. ბ. სტალინი  
1948

ს. ბ. სტალინი ბავშვებში

ნახატი ალ. გიგლაშვილისა.



# ცხრა მაისი

ბებია გოგის დაპირდა „როცა ომი დამთავრდება გემრიელ, ტკბილ ქადას გამოგიცხობო“.

ბებიას განჯინაში თეთრი ფქვილი, ერბო და ნიგოზი ჰქონდა შენახული.

მაისი დადგა. გოგი ეზოში დარბოდა-და მეგობრებთან ჩილიკა-ჯოხს თამაშობდა. დაბინდებისას შინ დაღლილი ბრუნდებოდა, მაგრამ დაწოლის წინ მას არასოდეს ავიწყდებოდა კალენდრადან ფურცლის მოხვევა, კარგად იცოდა: შავი - სამუშაო დღეს ნიშნავდა. ხოლო წითელი - დღესასწაულს.

როცა ავეღები უკვე „ხვალ“ იქნება, ფიქრობდა გოგი. და აი, ერთხელ საღამოს, გოგიმ, როგორც ყოველთვის, კალენდრიდან ფურცელი მოხია. „ხვალ“ - ცხრა მაისი იყო. რიცხვი 9 - შავი ფერით ეწერა.

იმ ღამეს გოგი ხმაურობამ და მხიარულებამ გამოაღვიძა, მიაყურა და მიხვდა, რაღაც არაჩვეულებრივი რამ მომხდარიყო.

სახლში არავის ეძინა. მეზობელ ოთახიდან, სამზარეულოდან მხიარული ხმები ისმოდა.

ბებია კი განჯინასა და მაგიდას შორის ტრიალებდა. ხელები ფქვილით ჰქონდა გაგანგლული. დიდს, გემრიელ და ტკბილ ქადას აცხობდა.

გოგი ლოგინიდან წამოხტა. კარი გააღო და სამზარეულოში შესძახა:

- ომი დამთავრდა!.. ომი დამთავრდა! ვაშა! ბებია აცხობს სადღესასწაულო ქადას!

უფროსებმა გაიციენს. ბიჭუნა გადაჰკოცნეს და ომის დამთავრება მიულოცეს. დედამ გოგი ხელში აიყვანა და კალენდართან მივიდა.

- გახსოვდეს ეს დღე, შვილო, - გამარჯვების დიდი დღესასწაული.

გოგი დედას ხელიდან გაუსხლტა და თავის მაგიდასთან მიიბრინა. ქალაღზე წითელი ფახქრით დიდი რიცხვი 9 დაწერა, ვარსკვლავიან ჩაჩჩო ჩაუხატა და კალენდარზე მიაწვია.

მზიანი, ნათელი დილა გათენდა. მოვიდნენ გოგის მეგობრები და მათი დედები. ბებია სტუმრებს გემრიელი, საღვესასწაულო ქალებით გაუმასპინძლდა.

(ვ. ოხევას მოთხრობიდან)



ღრღის ალმარტვა ბერღინში, რაიხსტაგზე  
საბჭოთა მებრძოღების მიერ, 1945 წლის მაისში.

სტალინური პრემიის ლაურეატის, სახალხო მხატვრის უჩა ჯაფარიძის ნახატი



პაპმ ფეხაკრეფით მოძებნა პირსაბანი წყალი. ფრთხილობს—გოლა აღრე არ გააღვიძოს.

გოლა ფხიზელი ბიჭია. თავის ფეხაკრეფით არ გამოეპარება. სანამ პაპა გარეთ პირს იბანს, გოლა უკვე ჩაცმულია. იგი გარეთ გარბის და მოულოდნელად ეუბნება პაპას:

— აბა, ერთი წყალი შეეისხა, ძილი გავიფრთხო! — პაპა შეილიშვილს დოქით წყალს გაუწოდებს და თან ეუბნება:

— ყოჩაღ...ყოჩაღ... აგრე უნდა, გაიზრდები და ყველას აჯობებ.

მერე ერთად მიდიან კალმეურნეობის დიდ ბოსელში. პაპა ვახუშტი იქ საქონელს უელას, ზღვეს\* ასუფთავებს, გოლაც შევლის. დღეს განსაკუთრებული დღეა: ორი პატარა ზაქი შეემატა საქონელს. გახარებულია გოლა, სწადია ამხანაგებსაც გაუზიაროს ეს სიხარული.

ამიტომ დაებადა სურვილი ზაქებზე კარგი ამბავი დაწეროს. ისეთი, რომ ყველამ წაიკითხოს.

მაგრამ როგორ დაწეროს? წიგნის დაწერა იმდენად ადვილი უნდა იყოს. გოლამ კი მხოლოდ თავისი სკოლის, სოფლის და კალმეურნეობის ამბავი იცის.

მაშ რაც იცის იმას დაწერს გოლა; ფურკამეჩებმა ზაქები მოიგეს, აი კალმეურნეობის თავმჯდომარე მოვიდა და იკითხა: — როგორ არიან ფურკამეჩები.

— სახარე ზაქები მოიგესო! — მიუგო მას პაპა ვახუშტი.

გოლამ ჩანთიდან რვეული ამოიღო, გადაშალა, და ჯერ სათაური დაწერა:

## ზ ა ქ ე ბ ი

„დილით ჩვენმა მამალმა იყვილა. პაპა ვახუშტი ჩემთან წამოდგა რომ არ გავვლიდებინე. მეც ჩემად აუღეკი. პირი დავიბანე. ჩანთაში რვეულები ჩავაწყე, წავეყვი პაპას ბოსელში. გადაეწყვიტე: სანამ ამხანაგები სკოლაში წასასულელად ჩამოივლიდნენ, პაპას მივშველებოდი.

ბოსელში დღედა მარიამი და ძალო ნინო დაევიხდნენ.

— არიქა, ფურკამეჩები ზაქებს იგებენო — უთხრეს მათ პაპა ვახუშტის.

ყველა ფურკამეჩებთან მივიდა. ერთი ხნის შემდეგ მეც შევედი და ვხედავ: ფურკამეჩები ზაქებს ლოკავენ. ზაქები ისეთი თოთოები არიან, რომ ფეხზე ეყრდებიან. ერთი უნიშნოდ შავია, მეორე ნიკორა. ორივე თივაზე წვეს და ლამაზ თავებს აქნევენ. ახლოს მისვლა დავაპირე: გაბრაზდნენ დედები, ასე ეგონათ, გოლა შეილღებს წაგვართმევსო.

— რა დეარქეთ ზაქებს? — მკითხა პაპამ.

— უნიშნოდ შავს—ლომა, ნიკორას — შაქარა. — ვთქვი მე.

— ლომა და შაქარა სწორედ კამეჩის სახელებია. — მომიწონა პაპამ.

უკვე გათენებულიყო, ამხანაგებმა ჩამოიარეს და სკოლაში წავედიო.“

გოლამ მთელ სკოლას მოსდო ზაქების ამბავი. მასწავლებელმაკ გაიგო.

— აბა, გოლა, გვიამბე, ზაქების შესახებ — მიმართა მასწავლებელმა.

\* ზღვე — ბოსელის ნაწილი, სადაც საქონელი იძინებს.



გოლა წამოდგა. რვეული ამოიღო, გადა-  
შალა და კიბვა დაიწყო.

კლასი სულგანბული უსმენდა. მერე  
ყმაწვილებმა გამოთქვეს სურვილი ლომას  
და შაქარას სანახავად ბოსელში ერთად  
წასულიყვნენ.

— კარგი იქნება, — მოიწონა მასწავლე-  
ბელმა. — წავიდეთ და ენაზოთ ზაქები.  
მასწავლებელმა ბავშვები მწყობრად დააწ-  
ყო და ბოსლისაკენ გასწიეს.


— მობრძანდიო, მობრძანდიო! — შეეგება  
მათ პაპა ვახუშტი.

ბავშვებმა იცნეს გოლას მოთხოვნაში  
აღწერილი ზაქები.

— ეს ლომაა, ეს შაქარა! — იხსდნენ  
გახარებულები და პატარა ზაქებს ვალერ-  
სებობდნენ.

ბორის ჩხიძე

ნახატები იოსებ გაბაშვილისა



## ვანო და ფუტკარი

ყვავილს ეწვია ბზუილით  
სკიდან ფუტკარი პატარა,  
ეამა ფუტკარის სტუმრობა  
და მორცხვად თავი დახარა.  
შეთამაშა ფოთლები,  
დილის მზის შუქით შემთბარი  
და ფუტკარის პატრვისაცემად  
არ დაიშურა ნექტარი.  
მზიარულ სტუმარ-მასპინძელს  
ვანომ ღიმილით დახედა,  
მაგრამ მათ ლხინში ჩარევა  
ბიჭუნამ ვეღარ გაბედა.  
შეჩერდა, ხელი დაუშვა  
ყვავილისაკენ გაწვდილი;  
ფუტკარის ნაჩხვლეტი ისარი  
რას იწყავედ ჰქონდა განცდილი.  
და თქვა: — იხაროს, არ უყვარს  
ფუტკარს შინ უქმად ჯდომას,  
იკრიხოს. თავლად შეეტკბოს  
ქვეყნას მისი შრომას.

ბიორგი კახაიძე

## ჩემი პატარა ატმის ხე

ჩემი დარგული ატმის ხე  
რა საამურად შრიადებს,  
მივად და ტოტებს შეარხვეს,  
საღამს არ დამიგვიანებს.

ამბობს: ყოველდღე ვიზრდები,  
თვალებს ახედენ კვირტები,  
სულ მაღე ღოყანი თელი  
ატმებით დავიტვირთები.

თან შემომცინებს შრიადით,  
ნიაეს სთხოვს მოუნიავოს;  
მეტყვის, რად დაიგვიანე?  
ან, აღარ დაიგვიანო...

ასე ვხარობთ და ვოცნებობთ  
დღისით, თუ ძილის ბურანში,  
მას თუ ყვავილი ამშვენებს.  
მეც მინდა მქონდეს უღვაში.

ალკო მენავლია



## ორი საჩუქარი

— ჰაი, დილილმე! — ყვირის გახარებული გიგლა და ისე მორბის, ოღრო-ჩოღრო ორღობეში ლამის თავპირი დაიმტვრიოს.

წიგნების ჩანთა ბიჭთან ერთად ხტის და კოლოფში ჩაწყობილ ფანქარსა და კალამს რაკა-რუკი გაუღიბთ.

— ეს ჩემი გამარჯვებისაა... — შესძახა კიდევ გიგლამ, როცა თავის სახლს მიუახლოვდა და ქალაქის სიხარულით დახედა. ღორმა მოჰკრა თუ არა გიგლას თვალი, ფიცხლავ ზეზე წამოიჭრა, ყელზე მობმული ჯაჭვი ააწკრიალა და ქუვიტინს მოჰყვა. ღორის ქუვიტინზე ბაკში დამწყვდეულმა თხემბმა მოუსვენარი კიკინი ასტეხეს. კარგებზე მწოლი თოლიაც შეეგება პატარას და როცა მეტო სიხარულით ძაღლმა გულზე თათები

შეაწყო, გიგლამ უკან დაიხია, ქალაქი ზევით ასწია და უთხრა:

— ჰა, ცუგო, ფრთხილად, შენ არ იცი ეს რა არის, დედა სახლში რომ იყოს გავახარებდი, მეხუთე კლასში ქების სიგელით რომ გადავედი.

გიგლამ ოთახის კარი შეაღო, ახლა იქ დაუხვდა მეტად სასიამოვნო ამბავი: თხემბის სამწყემსოში, იმ დილით, კოლმეურნეობის ბრიგადირს მისთვის ძკლის ლამაზი სალამური გამოეგზავნა. გიგლას დედას კარის პირდაპირ, ბუხრის რაფაზე დაედო სალამური და ბავშვმა თვალი რომ შეასწრო, სიხარულით შეხტა და შემოტრიალდა:



# ნელის ნანინა

პატარა მარინე ქართველიშვილს

— ძია პეტრემ ალბათ იცოდა რომ  
დღეს სიგელს მივიღებდი და ეს  
შეორე საჩუქარიც სახლში იმიტომ  
დამახვედრა!

გიგლა ბაკის კარებთან სალამურის  
დაკვრით მივიდა, თებს კარები გაუ-  
ლო და ისევ ოთახში შებრუნდა.  
შეჩვეული თნები ბიქს უკან დაედევ-  
ნენ და ოთახში თავები შემოჰყვეს. ძა-  
ლლი და კატაც იქ ბრძანდებოდნენ.

გიგლამ სიცილით გადაქედა მათ,  
მერე სიხარულით სალამურს კიდევ  
ჩაბერა, აარაკრაკა, ფეხები აათამაშა  
და ჩამოუარა.

ძაღლი ხელად მიუხვდა მხიარულ  
განწყობილებას, ისიც შეკუნტრუშ-  
და, გახტა და გამოხტა, მაგრამ კა-  
ტა და თნები გაკვირვებით შესცქე-  
როდნენ, ვერ გაეგოთ რა ახარებდა  
ბიქს. გიგლამ ცეკვა გაათავა, სალამუ-  
რი უბეში ჩაიდო და მოტრიალდა,  
მალალ კდობანს თავი ახადა, ჯამბა-  
ზივით შიგ ჩაყირავდა, პური ამოი-  
ლო, საგზალი გამოიკრა და თებს  
შეუტია:

— ჩი, ჰეი, ჩემო წვერცანცარებო,  
ეს თქვენს მოვლაში მერგო, ახლა  
უფრო კარგად გამოვებთ და ისევ გაგა-  
სუქებთ, რომ ყველა მწყემსს ვაჯობო.

გიგლამ სახლის კარი ვადარაზა და  
პურის მადიანი კბენით სამწყემსურად  
გასწია.

ანა ხახვაშვილი (მეჩივი)  
ნახატი შალვა ცხადაძისა

დაბინე, ვაივსე  
ნანა, შეილო, ნანინა,  
თეთრო ბაღის კუნწულო,  
ზაწაწინა მარინა!

მინდა გულში ჩავიკრა,  
რომ სულ ჩემთან იარო,  
ჩემო გულის ნაჭერო,  
ჩემო თანახმარო.

მინდა თვალში გავოცო—  
ძილი გქონდეს კეთილი,  
მინდა შებლზე გავოცო—  
გქონდეს გადატკეცილი.

მსურს ბაკსე გავოცო—  
დავიპო წურვილი,  
ბედნიერი სმა გქონდეს,  
ბედნიერი სურვილი.

დაბინე, ვაივსე,  
ნანა, შეილო, ნანინა,  
დედის გამხარებელო,  
ზაწაწინა მარინა!

ი. გრიშაშვილი

## პატარა ფიზკულტურელების სიმღერა

შემოგვხედეთ გოგო-ბიჭებს,  
როგორ მწყობრად მოვაბიჭებთ,  
გვიყვარს მოძრაობა:  
ფარაზმულად მწყობრში დგომა,  
სიარული, ცეკვა, ხტომა,  
ბურთი, ჭიდიობა!

თავისუფლად ვიფურჩქნებით,  
გაეზინებთ და ვიქნებით  
ჯანსაღი და გამძლე!  
ჩვენი ტყვია, ჩვენი ხმალი,  
მტერს შემუსრავს, დიდო სტაღინ,  
მტკიცე სიტყვას გაძღვთ!

ილია სიხარულიძე



**მონაწილენი:**

- |            |          |
|------------|----------|
| 1. გურამი  | 4. მზია  |
| 2. ნუგზარი | 5. ცილა  |
| 3. რეზო    | 6. ბებია |
- (სცენა წარმოადგენს ბაღს. გაზოდის გურამი)

**გურამი**

მოდი, მზია, მოდი ჩქარა,  
მოდი, ნუგზარ, და შენც, რეზო.  
(შემოდის მზია, ნუგზარი და რეზო)  
ნახეთ, ნახეთ, რა კახტაა  
ჩვენი ბაღი, ჩვენი ეზო.  
აბა, მზია, ხომ კარგია  
ჩვენ რომ ეზო ვაგამწვინეთ?  
უსუფთაო, ულამაზო, —  
ნამდვილ ბაღს რომ დავამგვინეთ!

**ნუგზარი**

ეიშ, გენაცვა, ამ ატმის ხეს  
ოა ფოთლები მოუსხამს.

**მზია**

იმიტომ რომ წუხელ, თურმე  
ჩემს ბებიკოს მოღუწყავეს!

**გურამი**

ვაი... შეხეთ, ჩემი ნერვი  
ძირს რათ გდია მოთხრილი?  
ფოთლები სულ დასკვნობია,  
ტოტებიც აქვს მოხრილი.

**ნუგზარი**

ამას მზია ჩაიდენდა  
გუშინ, — როცა დაღამდა,

**რეზო**

მე თვით ენახე. ამ ნერგებზე  
საჭანელას აბამდა!

**მზია**

რეზო! აბა რატომ სტროობ,  
(ბავშვებს)

რად მადარებთ ონავარს?  
იმისათვის დამაბრალებთ,  
მე პატარა რომა ვიარ?

**გურამი**

ღიახ, შენ იქნებოდი,

**რეზო**

აქ რომ დაცუნტელებდი.

**ნუგზარი**

ხელში თოკი ეჭირა.

**რეზო**

ჰო, ჰო! მეც ვუუტრებდი...

**მზია**

აი, თუნდაც ბებოს ჭითხეთ,  
მთელ დღეს ბღში ატარებს,  
თქვენ თვითონვე აფუჭებთ და  
ჩვენ გვაბრალებთ პატარებს!  
(ატირდება)

**ნუგზარი**

მთელი დღე აქ ტრუნადა...

**რეზო**

ტოტებს ხელით ღუნავდა...

**გურამი**

ახლა ტირის ოხვრითა.

**მზია**

ღრტტუნია მოხრიდა...  
(გაანწვეს მოშავალ ცილას)

**გურამი**

ჩუმად! აგერ ცილამ  
თოკი დაატრიალა.  
იქნებ მან ჭაიდინა?

**რეზო**

ნარგავებთან ირბინა...

**გურამი**

აქეთ მოდის ცვეცით.

**რეზო**

მისი ყურზეა ლვეცით.

**ნუგზარი**

თან მოჭვება ბებიკო.

**გურამი**

იქნებ მართლაც ეგ იყო?!

**ბებია**

აბა, ჩემო ცილა,  
ლამაზო და ცქრილა;  
აქ ყოფნა რომ გიხარის,  
რა დავთესოთ, მიიხარი,  
რაა შენი საყბილო:  
წიწმატი თუ სტაფილო?!



# ბალი

სიკვამლე



## ციალა

თუ გიყვარდე, ბები, ძლიერ გიხვეწები, დაეძმევენებთ ამ ეზოს, — ტკბილეული დაეთესოთ!  
(გამორბიან ბავშვები, ბებია იცინის)

## გურამი

ბებო. ბებო, გვითხარი, ზღვინ, აქ რომ იყავით ეს ნერგი ვინ მოთხარა? ბებია

ჟი, თვალი დამიდგეს; ეს რა ჩაუღენიათ, ჩემს დროს ეს არ მომხდარა!

## ნუგზარი

უკვე გამოვაცქიეთ; (მზის) შენ იყავი, კმარა. მზია

ჩემს დელიკოს ფუცივად არ მიქნია, არა. (ატორდება)

## ციალა

ნუ იტარებ, დაიკო, მე ვაბობთ, რაც იყო: გუშინ ჩემი გიშვრა, ცელქი, ლამაზ-კისერა, დავიჭირე... შენდგ გამოვები ნერგზე, უცხად. იცით რა მ-ხდა? თისო ხიდაჩ ჩაოხტა; შეუღრინა გიშვრამ, შეფუყუ: — ჰამ ჰამ, ჰამ... ორღუხზე იწიოა, თისოსკენ გაიწია, ნორჩი ხე ჯერ მოხარა, როცა კატას გამოუდგა, — ძირიანად მოთხარა!

## რეზო

აღბათ მოლიც გათელა.

## გურამი

კულტკინა ბაჯბაჯამ,

## ციალა

ის გიშვრა ნარგავებს დაფუყენ დარაჯად!

## გურამი

(დაცინეთ) დაფუყენა დარაჯად!

## რეზო

(დაცინეთ) აფუყენა ჯარაგი...

## ბებია

ვანსოვდეს: ამ ნერგებზე არ დააბა ირავინ!

## ნუგზარი

არც გიშვრა, რეზო

არც თისო,

## გურამი

არც კოჩორა ქათამი, თორემ აღარ გვეუნება ვაშლი ლლევი, ატამი... მზია! შენთან ბოლიში...

## მზია

თქვენ კი მე მბრალედით, "გუშინ აქ ბტუნადლა", ტყუილად მაწვალედით! (ბავშვები განაგრძობენ ბალი მუშაობას)

## გურამი

ამ ხის ძირას გრძელ სკამს ჩავდგამთ

## რეზო

გაგვიკეთებს ბაბუა!

## მზია

ღელა ჩიტიც იჭიკიკებს

## ციალა

გულტრევი და დაბუა...

## ნუგზარი

შეხეთ, შეხეთ ამ ყვავის, რა ლამაზად კიაფოხს;

## ციალა

ბაბუ, სკაიზე დაუდგება და ჩვენ ზღაპრებს გვიამბობს!

## გურამი

მომეხმარეთ, ნორჩი ხე ზელაზა გაეახაროთ, (მოდის მოთხრილ ნერგთან)

## ნუგზარი

ღრმად ამოვტრათ ორმო და სასუქიც მივყაროთ...

## ყველანი

(მღერობენ)

რა კარგია ჩვენი ბალი, აქორბილი ტოტებით, როგორ გვიყვარს, თავს ვეფლებით, არადროს არ ვშორდებით.

ფარდა

ქ. შოშიაშვილი.

ნახატები რ. ხტურუასი



საფხულის დასწევისში უანს წა-  
მოიხარდა, მუსლი გაიმაგრა, თან-  
დათან გამაღღდა, თაუთავი გავესო  
და დაბლა დაიხარა.

ხალხი სიხარულით შექურუბდა  
და ამბობდა: — კარგი ამინდები რომ  
დაუდგეს, ზღვა მოსავალი მოგვევა,  
შრომა ერთიანად აგვინაზღაურდება!

ჩამოცხა. ცაზე ღრუბლის ნამცუ-  
ციც აღარსად ჩანდა; ისეთი გვალ-  
ვა დადგა, რომ დედაძინა დასკდა.



უანას მოსწუერდა. ხასხასა მწვა-  
ნე ფერში სივეითლე შეეწარა, დაღ-  
რემილი გამოიუერებოდა.

დიდი და ზატარა შეწუესდა, — ევე-  
ლას უანის წყურვილი აღარდებდა.

ერთსელ, უანას თავზე ვეაჟა გა-  
დაუარა. თავს აქეთ-იქით აბრუნებდა  
და უღარდელად მიფრინავდა.

— ევაო, ევაო! — შესძახა უა-  
ნამ, — მიშველე რამე, წყურვილით-  
ვეკვდები, წადი, როგორმე ღრუბლები  
ნახე, უთხარი: წყალი მომასსურონ.

— შე, შენგან რა სიკეთეს ველი  
რომ თსოვნა შეკისრულო — ჩამოს-  
ძახა ევაჟმა და ურანტალით განაგ-  
მო ფრენა.

გადმოფრინა კაჭკაჭმა.

— კაჭკაჭო, ჭრელო კაჭკაჭო, —  
შესძახა უანამ, — იქნება შენ მაინც  
მიშველო, რამდენი ხანია წვეითი არ  
შემისვამს, წყურვილი მახრჩობს. წადი,

ღრუბლები მონახე და უთხარი: წუა-  
ლი მომაწოდონ.

— ჩემო კეთილო, უარს როგორ  
გეტყუდი, მაგრამ გრძელი კუდი  
მაქვს და მონს ვერ დაუფრინავ, — მიუ-  
კო კაჭკაჭმა.

გადმოიფრინა ნიბლიამ.  
— ნიბლიავ, ჩემო ნიბლიავ, სომ  
ხედავ, წუურვილმა როგორ დამაჭკ-  
ნო, — ასმასა ეანამ, — მენ მინც წა-  
დი ღრუბლებთან და უთხარი: წუა-  
ლი მომაძსურონ.

— ეჰ, განა მე არ მენახები, მაგ-  
რამ რა ვიღონო, ჩემი სუსტი  
მსრებით ღრუბლებთან ვერ მივადწევ.  
მაგრამ ნუ გეძინია, ჩემს შესობლად  
ნიაგსა სმინავს, წავალ გამოვალვიძებ,  
გამოვეზავნი და ის დაგეხმარება.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ნია-  
ვი. ეანას რომ დახედა დაღონდა,  
— ეკ რა დაკმართნიაო, — უთხრა და  
ღრუბლებისაკენ გაემართა.

გზაზე თანდათან ვადიდდა, ქარო-  
შლად გადაიქცა. გადაიარა ველები  
გადაიქროლა სეობა და კავკასიონის  
ძიებში შეიჭრა:

ნიავის სმასე მწვერვალებზე გა-



წოლილ ღრუბლებს გამოვლიძებთ  
და წამოიძახეს: — უჰ, რა დიდი ხა-  
ნი გეძინებიაო.

თეთრი და ნაცარა ღრუბლები  
გელებივით აიძალნენ, სეკებსა და  
ფერდობებს მოეფინენ, მივიდნენ ეა-  
ნის ჰორღანორ, გაძალეს მსრები,  
გაძალეს და დაუძვეს ქუქუნა წვიმა.

ეანამ წუურვილი მოიკლა; გამო-  
კეთდა, მოღონიერდა. მისი სიკე-  
თის ამბავი მთელ ქვეყანას მოედო.  
ხალხი საკუთარ ნაძროძს სისარუ-  
ლით შეჭურებდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეანამი  
კომბანები აკუკუნდნენ და მინდორ-  
ში ოქროსფერი სორბლის სეავი  
დადგა.

როსკომა ელანიძე

ნახატები იოსებ ვაბაშვილისა





ბ ი რ ს  
ი ბ ა ნ ს



კინკრით სავსე ნატეხარასთან, დედა უჩვენებდა პატარებს, როგორ მოეყენათ მხალი. ნაბოლარას ნისკარტი ამოეცო და სუნთქვა შეეკრა.

— უჰ, რა ძნელია კამა! — დაიწვიწვივა, გადმობტა და ბაღბის ღეროს შეაწმინდა პატარა ნისკარტი.

— დასერილი პირი წყლით უნდა მოიბანო! — დაიუუკუუა დედამ და ნისკარტი მხალს აუჩქარებლად ჩაჰკრა.

— კამას რომ ისწავლით, აი, იქით წაგიყვანთ, სადაც დიდი ქვეყანა იწყება! — უთხრა დედამ პატარებს და შორს გაიხედა.

პატარებმაც გაჰხედეს ყვავილებით მოფენილ მინდორს, გული იქით უწევდათ სარბენლად, მაგრამ დედა არ უშვებდა: — შორს წასულ პატარა შეიღებეს ქორი



დახედებო! — არც ლობესთან მორაკრავე ნაკადულისკენ უშვებდა, ნატეხარაში აბანი-ნებდა პატარა ნისკარტებს.

დაპირებით გახარებულმა კუცებმა ერთმანეთს შესწივლეს. ნაბოლარა შეაფრინდა ჯამის ნაპირს, შექანებული ტანი ფრთებით შეიმაგრა და კმაყოფილმა გადმოჰხედა დამხმებს, რომელთაც მალალი კანკები და გულისპირი მხლით დასკროდათ. შემობრუნდა რომ ძმის ფრთაზე შეწყებილი მხალი მოეყენა, მაგრამ თავი ვერ შეიმაგრა, და ძმების ფეხებით მოთხუპნულ მიწაზე გაიშხლართა.

— არც კუქუყიანი გულისპირით შეიძლება სიარული; ლაზათიანი კამა უნდა ისწავლოთ, თორემ ტოლები დაგცინებენ და დედათქვენსაც შეარცხვენთ, — უთხრა დედამ, მიმოიხედა — ხომ არაფერ გვიყურებსო და ნაკადულში იხვების ოჯახს შეასწრო თვალი.

რუს წმინდა წყალში მამა იხვი მოცურავდა. გვერდით დედა იხვი მოჰყვებოდა და ირიბად გასცქეროდა ნაკადულზე გამწკრივებულ შვილებს.

მამამ უფერად ნატეხარას მოჰკრა თვალი. შშრალზე ამოვიდა და ოჯახს გადმოსძახა: — მომყვიეთო.

— ვახ, ვახ, ვახ, ვახშამია? — ჰკითხა მან ჰაჯბაჯით აღეწებულ დედას, რომელსაც მოსდევდა შვიდი ყვითელი პატარა იხვი.

— სა, სა, სა, საუბზე! — უპასუხა ბეჯითად დედა იხვმა.

მამა იხვმა ფართო ნისკარტი მოურიდებლად მხალს ჩაჰკრა. დედა ინდაური განზე გადავა. ჯამის გარშემო უსუსურად აწივწივდნენ ფეხსუსტი ქუცები.

— წავიდეთ, დიდი ქვეყანა ვნახოთ! — უთხრა დედამ ქუცებს, ნელა შეტრიალდა და იქაურობას გაერია.

ნაბოლარა არ გაჰყვა, ჯერ ვერ დამტკბარიყო ვერც მხალით, ვერც ქუქულების ყურებით, რომლებიც გოგმანით მორბოდნენ და გან-გან ადგამდნენ სუფთა ფეხებს.

— რა კარგები არიან! — დაიწივწივა ნაბოლარამ და ქუქულის ყვითელ, სუფთა ღინღლს წაეხახუნა:

— წიი! — შესძახა ალერსიანად.

ტოლმა უკადრისად გადმოხედა და ნატეხარასთან მიხვეულ და-მებისკენ გაიქცა.

ეწეინა ნაბოლარას. გულისპირზე დაიჭედა:

ქუქუიანი რომ ჰქონდა შერცხვა, ფეხით წაიხზრიკა მკერდი და შორიდან დაუწყო ქვრეტა.

მამა იხვს ნატეხარა შეილებისაკენ გადმოეწია. პატარებს მხალი მიწაზე გადმოჰქონდათ და კატკატით შეეკეცოდნენ. დედა თავზე ადგა შეილებს:

— თავი წაიგრძელოთ ღინღლი არ დაისვაროთო, — არიგებდა.

იხვებმა სწრაფად ამოსცალეს ჯამი და ისევ ნაკადულს მიაშურეს.

ნაბოლარა წყლისაკენ გაქცეულ ყვითელ ტოლებს აედევნა.

იხვები წყალში ჩადგნენ, ნისკარტი გაიხანის, მერე ჩაქუცმა და შეეკეცნენ.

— აი, რატომ ყოფილან ლამაზები! — გაიფიქრა ქუცმა, როდესაც ნაკადულის ჩქარმა ტალღებმა იხვების ფეხებიდან ჩამოზანილი თივა-ბაღახი გაიტაცეს. ნაბოლარამ თვალი გააყოლა დიდი ქვეყნისაკენ მიმავალ ნაკადულსა და ლაღად მოცურავე



იხვებს, რომელთაც ყვითელი, პრიალა ნისკარტები მალა აეწიათ.

ნაბოლარა დააკტერდა წყლის ნაპირზე მდგარ ყვითელ ღიღილოს, ისიც პრიალებდა: მწვანე ღეროზე წყლის სუფთა წვეთი შერჩენოდა.

— ესეც წყალმა გაალამაზა! — გაიფიქრა და უნებურად წაჰკენკა დაცვარული ყვავილი.

ნაკადულში ფრთხილად ჩადგა მალალი კანკი და წყლის შეხებებს შეეგება მხალით დასვრილი წვრილი ნისკარტი.

— უ—უ—უჰ—რა ცივია! წამოიძახა ნაბოლარამ.



ქართული ენის  
სამეცნიერო ცენტრი

თვალი აუჭრელდა, კინაღამ წყალმა გაიტაცა. ნაპირზე ამოხტა და ღობესთან მიცურებულ იხვებისავე გაექანა. მაგრამ ვეღარ მოასწრო ტოლებისათვის სუფთა ნისკარტი ეჩვენებინა; იხვებმა დაყვინთეს და ნაკადულს ნებივრად მიჰყვენენ. ნაბოლარა ფეხის წვერებზე შეიმართა და სინანულით გააყოლა თვალი. სიო დასთამაშებდა წყლის ნაპირზე ჩაყოლებულ ხასხასა ბა-

ლახს და ფერადფერად ყვავილებს, ნაბოლარა მოხიბლული უკვრეტდა მინდორს.

— დიდი ქვეყანაც პირს იბანს და თურმე იმიტომ არის ასეთი კარგი, — გაიფიქრა, შემობრუნდა და გაიქცა, რომ დაძმებისათვის ნაკადულში პირის დაბანა ესწავლებინა.

ქეთევან კლინაბერაშვილი

ნახატები იოსებ გაბაშვილისა



## მ ერ ც ხ ა ლ ი

სად ხარ, მოდი, მოჭიკჭიკვი,  
მომენტრა შენი სახე,  
ძველი ბუდე აივანზე  
ხელუხლებლად შეგინახე,  
ფრთა გაშაღე, ინაფარე,  
ვეღ-მინდევები ისევ ნახე,  
შეგიძლია მშვიდად იყო,  
არ დაგიგებს არეინ მახეს...  
მაგრამ როცა შემოდგომა  
ჩამოდგება ბარში წელი,

ტყეს სიყვითლე დაეტყობა  
და გასცივია ხეს ფურცელი,  
ფოთლის ნაცედად ბელურები  
შეუფრქვევა ტიტვედ რტოებს,  
შენ ნახვად და ჩვენ აქ ვრჩებით  
და ღროებით მიგვატოვებ,  
მაგრამ ჩვენი მეგობრობა  
მინც დასძლევს მძიმე ზღუდეს,  
მოფრინდები ჩვენთან ისევ,  
რადგან აქ გვაქვს შენი ბუდე!

იონა ვაქალი





ვაჟა არადადეგების დროს სოფელში ბიძას ესტუმრა. ბიძამისი გიორგი აგრონომი იყო და ეზო მოვლილი და აყვავებული ჰქონდა.

ვაჟა აღრე ადგა და ბიძაშვილებთან ერთად ტყეში აპირებდა წასვლას, ფარდულში ჩელტებზე გასაშრობად გაფენილი რაღაც მცენარე დაინახა და იკითხა:

— ეს რა არის?

— შროშანაა, — გადმოსძახა ბაღში მომუშავე გიორგიმ.

— რად გინდა?

— აქეთ მოდი და გეტყვი, — მიუგო გიორგიმ. ბავშვები მიუახლოვდნენ.

— უჰ, რამდენი და რა ლამაზები არიან, — წამოიძახა ვაჟამ და კვლებში გადაშლილ შროშნებთან დაიხარა.

— ძია გიორგი! შროშანა სასარგებლოა? — იკითხა მან.

— სამკურნალო მცენარედ ითვლება, — მიუგო გიორგიმ.

— გვიამბე შროშანას შესახებ, მე ხომ ამ ზაფხულს სამკურნალო მცენარეები უნდა შევფაროვო. ბარემ ტყეში მივდივართ და გვეცოდინება როგორ მოვკრიფოთ. — შეეხვეწა გიორგის ვაჟა.

— კარგი, — სთქვა გიორგიმ და სასხლავი მაკრატელი ტოტზე ჩამოსდო ბავშვები სმენად გადაიქცნენ:

— შროშანა სურნელოვანი, თეთრყვავილიანი მცენარეა. ჩვენში კარგად ხარობს; მაისში ყვავილობს და გულის მკურნალობისათვის ხმარობენ.

— მაშ ბაბუას წაფულებ, გული რომ სტკივა მოვურჩენ! მაგრამ როგორ მოვკრიფო, წამლისათვის რომელია საჭირო, ფოთლები თუ ძირები? — ჰკითხა ვაჟამ.

— ყვავილები, — უპასუხა გიორგიმ, — მოკრეფისას მხოლოდ ახლადგაშლილი ყვავილები შეარჩიეთ ღეროებიანად. გაყვითლებულები კი წამლისათ-

ვის არ ვარგა. მოკრფეილი შროშანა კალათაში ისე უნდა ჩააწყობ, რომ არ დაისრისოს აი, იმ ჩელტზე შროშანა გაფინე, როცა გაშრება, ეგრეთ ეხება მოვაშორებ, საცერით მტვერს გამოვაცლი და თუნუქის დახურულ ში შევინახავ. ჩვენში შროშანას ყვავილი ბევრია, მაგრამ მაინც არ კმარა, ამიტომ უნდა გავამრავლოთ.

— როგორ გამრავლდება? — ჰკითხეს ბავშვებმა.

— შროშანა მრავლდება თესლით და ბოლქვის ქერქლებით; გახაფხულზე კვალში დაითესება, შემოდგომაზე კი სათბურში. პირველ წელს ფოთლები ეზრდება. მეორე წელს ყვავილობს და მესამე წელსკი წითელ-წითელნაყოფს გამოიღებს.

— ბიჭებო, ხომ მაინც ტყეში მივდიოდით, კალათა წავიღოთ და შროშანა შევავროვოთ! — წამოიძახა ვაჟამ.

ბავშვები სიმღერით გასცდნენ სოფელს, ტყეს უკვილ-ხივილით მოედინენ და ხაშუადღევს, შროშნებით სავსე კალათით შინ დაბრუნდნენ.

აკრონონი მ. შინდამი



ნახატები პეტრე დათბაშვილისა.

## მერე რატომ?

— ეს პატარა ძაღლია, ერთი თათი აკლია. თაფიც შეუხვევია, როგორც მუდამ სჩვევია.

— მერე რატომ?

— დღე და ღამ რომ ჩხუბობს მურიასთან ცუგო.

— ცუგრუმეღა უთერის აბა როგორ შეჰღერის! — სურ მთლად დასივებია ტურები და ყბებია.

— მერე რატომ?

— ისიც მოჩხუბდარია, შესძრა მთა და ბანია.

— დისო როგორ კრუსუნებს, ვერ მიიბრუნებს წრუსუნებს, ლუკმა ვერ უჭამია, უკვე საში ღამეა.

— მერე რატომ?

— უზომოდ რომ სჭამდა აბა რას უჭამდა?

— ხომ უყურებთ დათუნას უსწორებენ სასთუმადს, ფეხზე ვეღარ, დამგარა, ძლიერ ავად გამხდარა.

— მერე რატომ?

— მსუნაგია ძალიან, ეს იმისი ბრალია.

ნიკოლოზ ჩაჩავაძე

# გ ა ს ა რ თ ო ბ ი



## დაეხმარეთ თამარს!

ვანო და თამარი პირველი კლასის მოსწავლეები არიან. სკოლაში პირველად რომ მივიდნენ, დეიდა ნუცამ მათ მოძრავი ანბანი აჩუქა. ვანომ და თამარმა ანბანი მალე შეისწავლეს, ყველა ასოს კარგად იცნობენ. მათ ძალიან უყვართ ასოებისაგან სიტყვების შედგენა. ერთხელ ვანომ მოთხრობაც კი შეადგინა, მაგრამ ასო „უ“ სადღაც დაჰკარგოდა და ამიტომ „უ“-ს ნაცვლად სხვა ასოები გამოიყენა.

— აბა, წაიკითხე! — უთხრა ვანომ თამარს. თამარმა წაიკითხა, მაგრამ ვერაფერი გაიგო.

აი ვანოს მოთხრობაც:  
დიდი მუხის ჩრდილში სანდრო და გორამი თამაშობდნენ, სანდრომ ცხენის ძია იპოვნა და მეგობარს დაიძახა:

— მოდი ჩიტის მახე გაგაქვოთ, ჩემდ დავგვთ ჩიტს.

— ჩიტი ცოცხალი სჯობს ბებულს საცერი გაიკეთოთ, — სთქვა გორამმა.

დაეხმარეთ მეგობრებო თამარს, ის ხომ პატარაა!

ვანოს მიერ დაკარგული ასო „უ“ ჩასწერეთ ყველა იმ სიტყვაში სადაც ეს საჭირო იყოს და სასწრაფოდ გამოგვიგზავნეთ პასუხი, თორემ თამარი ძალიან წუხს.

## ჩ ა ს ნ ე რ ი თ

მაგნიეზო! აქ დახატული სურათების ქვეშ მოთავსებულ რკოლებში ჩასწერეთ გრძნადარი ასოები და პასუხი მოგვწერეთ.



①



②



③



④

## პ ა ს უ ხ ე ბ ი

ქურნად „დილას“ № 2-ში მოთავსებულ გასართობზე.

**კაზუსი** — ზამთარი

**შაბადა** — საქართველო.

**სახუმარო გამოსანი** — ორ ჯოხს აქვს ოთხი წვერი.

ორჯოხნახევარს — ექვსი წვერი.

ორ ჯოხს და ერთ მეოთხედს — ექვსი წვერი.

ქურნად „დილას“ № 3-ში მოთავსებულ გასართობზე:

**კაზუსი** — სამშობლო დედის ძუძუი არ გაიცილებს სხვაზედა.

ქურნად „დილას“ № 4-ში მოთავსებულ გასართობზე:


**გამოსანები**: 1. გოგრა (კვავი), 2. დედა.

აბა, გამოსანი: გვიეს აჩუქეს ხის 18 ჯარისკაცი, თვითონ ორი დაუმატა და 20 შეუსრულდა.

პასუხისმგებელი რედაქტორი **კაპაზე მადონი**

სარედაქციო კოლეჯი: **გრ. აბაშიძე, მკაბეაძე, ბურჯანაძე, იოსება გრიშაშვილი, ილია სინაბულიძე, შინათინ თუშინიძე, მუხამბე მამულოვილი, ნებალია უნაფოვილი, შალვა ცხადაძე.**

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი



### ტყეში

ტყეს მწვანე ფარჩა ჩაუცვამს,  
 ქრელ ნოხებს გვიან ვეღები,  
 ყურებს იკვეთენ კურდღლეები,  
 ლაღობენ დათვის ბელეები.

ყველა ფრინველი ბარტყსა წრთენის,  
 მართვები ფრენამ დაილა,  
 ხტომას, გაღობას სწავლობენ  
 ყველა ბარტყი და ბახალი.

ყველთა გაშლას გვახარებს  
 ფუტკრების აზუზუნება...  
 გახაფუღლია, გამოდით,  
 გაულეღვირა ბუნებას.

გრიგოლ აბაშიძე  
 ნახატი ანდრო კანდელაკისა